საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 14 2020 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, შეიქმნას მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათშორისი საბჭო (შემდგომში – საბჭო) და დამტკიცდეს თანდართული „მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს დებულება“.
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №135 ბრძანება.
3. ბრძანების ამოქმედებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილ უწყებებს ეთხოვოთ საბჭოს წევრობის კანდიდატების საბჭოს თავმჯომარისათვის წარმოდგენა.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გახარია

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2020 წლის 23 იანვრის
№ 17 ბრძანებით

მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება განსაზღვრავს მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს (შემდგომში – საბჭო) მიზანს, ფუნქციებს, მუშაობის ორგანიზებასა და შემადგენლობას.

2. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი და ფუნქციები

1. საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობასა და შესრულების მონიტორინგს.

2. საბჭოს ფუნქციებია:

ა) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული უწყებათაშორისი საკითხების კოორდინაცია და სტრატეგიული ხელმძღვანელობა;

ბ) მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის განახლება, შემუშავება და მთავრობისთვის წარდგენა დასამტკიცებლად;

გ) მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ პოლიტიკაში ინტეგრაციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

დ) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა;

ე) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში სამდივნოს, თემატური სამუშაო ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ინიციირებული პროექტების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის;

ვ) საქართველოს ეროვნული ნებაყოფლობითი მიმოხილვის (VNR) ანგარიშისა და მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა, დამტკიცება და მთავრობისთვის წარგდენა;

ზ) მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების შეგროვების სისტემების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საკითხების განხილვა, დამტკიცება და მთავრობისთვის წარდგენა;

თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.

მუხლი 3. საბჭოს ანგარიშვალდებულება

საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

მუხლი 4. საბჭოს მუშაობის ორგანიზება

1. საბჭოს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
2. საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს საბჭოს მუშაობას, ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს და, საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს სათანადო ცვლილებები მასში, იწვევს საბჭოს რიგგარეშე სხდომებს.
3. საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.
4. საბჭოს სხდომა იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

5. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
6. გამონაკლის შემთხვევაში საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონულ ფორმატში.
7. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს თავმჯდომარე, საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს წევრის (წევრების) წერილობითი თხოვნის საფუძველზე.
8. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს წარადგენს საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს წევრებისა და სამდივნოს მიერ მიწოდებული განსახილველი საკითხების საფუძველზე.
9. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს სხდომის მოწვევამდე არანაკლებ სამი დღით ადრე წერილობით წარუდგინოს საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შესატანი საკითხების ნუსხა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
10. საბჭოს წევრის დროებით არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს მისი მოვალეობის შემსრულებელი ან შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი.
11. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.
12. საბჭო უფლებამოსილია, სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლების გარეშე.

მუხლი 5. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. საბჭოს წინაშე პროექტის ინიციირების უფლება აქვს საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირს.
2. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
3. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო ვერ შეთანხმდება ან ვერ გადაწყვეტს საკითხს, საბჭოს თავმჯდომარე ინიციირებულ პროექტს წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება და ფორმდება სხდომის ოქმით.
5. ელექტრონულ ფორმატში სხდომის ჩატარების შემთხვევაში საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, საბჭოს წევრთა მიერ გამოგზავნილი თანხმობის წერილის საფუძველზე. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

მუხლი 6. საბჭოს თემატური სამუშაო ჯგუფები

1. მდგრადი განვითარების ცალკეული სექტორული მიზნების განხორციელების კოორდინაციისა და ეფექტური მონიტორინგის მიზნით საბჭო ქმნის თემატურ სამუშაო ჯგუფებს (შემდგომში – სამუშაო ჯგუფები).
2. საბჭო ამტკიცებს სამუშაო ჯგუფების სახელმძღვანელო წესებს.
3. სამუშაო ჯგუფების მუშაობის ორგანიზება ხდება სამდივნოს, სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარისა და ორი თანათავმჯდომარის მიერ.
4. საჯარო დაწესებულებებიდან თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენს სამდივნო, სამუშაო ჯგუფის წევრი საჯარო დაწესებულებებთან შეთანხმების საფუძველზე.

5. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ერთ-ერთი თანათავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენენ ჯგუფის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
6. საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან (UN) (შემდგომში გაერო) ერთ-ერთი თანათავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენენ გაეროს სააგენტოები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7. საბჭოს სამდივნო

1. საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველო.
2. საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი – საბჭოს მდივანი.

მუხლი 8. საბჭოს სამდივნოს მიზანი და ფუნქციები

1. საბჭოს სამდივნოს მიზანია საბჭოს საქმიანობის ანალიტიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
2. საბჭოს სამდივნოს ფუნქციებია:

ა) მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების თაობაზე სახელმწიფო უწყებების ანგარიშგების პროცესის კოორდინაცია და მონიტორინგი მდგრადი განვითარების მიზნების ელექტრონული მონოტორინგის სისტემის მეშვეობით;

ბ) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და საბჭოსთვის და სამუშაო ჯგუფებისათვის წარდგენა;

გ) საბჭოს სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;

დ) საბჭოს სამუშაო შეხვედრებზე დასწრება, მონაწილეობის მიღება და შესაბამისი დღის წესრიგისა და ოქმების მომზადება;

ე) მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის;

ვ) მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში დონორული დახმარებების აღრიცხვა და ანალიზი, პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, მათ შორის სამუშაო ჯგუფების მიერ გამოვლენილ საჭიროებებზე თანამშრომლობის/დახმარების მიზნით;

ზ) მდგრადი განვითარების მიზნების ელექტრონული მონოტორინგის სისტემის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერა;

თ) სამუშაო ჯგუფების გამართული და ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა.

მუხლი 9. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრის აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი, საბჭოს წევრი;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ე) საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ვ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ზ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

თ) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ი) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

კ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ლ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

მ) საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი, საბჭოს წევრი;

ნ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, საბჭოს წევრი;

ო) სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს წევრი;

პ) სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი, საბჭოს წევრი;

ჟ) სსიპ – ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

რ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, საბჭოს წევრი;

ს) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) უფროსი, საბჭოს წევრი;

ტ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი – საბჭოს მდივანი, საბჭოს წევრი;

უ) თემატური სამუშაო ჯგუფების თანათავმჯდომარეები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, საბჭოს წევრები;

ფ) მუნიციპალიტეტების მერები ან მათი მოადგილეები, საბჭოს წევრები.

2. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებს, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN) სააგენტოების ხელმძღვანელებს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ხმის უფლების გარეშე.